

საქართველოს კანონი

„პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №38(45), 1999 წელი, მუხ. 182) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატება:

1. 39-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩაითვალოს მე-2 და მე-3 პუნქტებად, ხოლო პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს მასში ქალთა ყოფნასთან დაკავშირებული სპეციფიკური მოთხოვნები, ქალთა განთავსების ადგილები უნდა შეესაბამებოდეს და აკმაყოფილებდეს ქალის სანიტარულ-ჰიგიენურ და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და არ უნდა ლახავდეს მის პატივსა და ღირსებას.“

მუხლი 2. ეთხოვოს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს განახორციელოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ქალთა განთავსების ადგილების მონიტორინგი მათი ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, საჭიროების შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ქალთა განთავსების ადგილების ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი